№ 200 სექტემბერი 17, ოთხშაბათი 1886 სექტემბერი 17, ოთხშაბათი **№ 200**

გაზეთი ღირს

თვეზე	მან. კ.	თვეზე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: ივერიის რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერ-გრიგოროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.

ტფილისი, 16 სექტემბერი

ჩვენ გუშინ დავპირდით მკითხველებს, რომ ვაუწყებთ—რა ღონეა მიღებული მაჰმადიანთა გაერთების მეთაურთაგან თვისის აზრის განსახორციელებლად. აი ამ საგანზედ რა შევიტყეთ ერთის გაზეთის კორრესპონდენტისაგან.

ამას წინად თეირანში გაეგზავნა სულთანს აბდულ-ჰამიდს ნუსრეთი-ფაშა მოციქულად საპოლიტიკო მინდობილობით.

ეს მოციქულობა ვერას გახდა და ამით ხელ-ახლად დარწმუნდა სულთანი, რომ მინამ რელიგიური განხეთქილება ჰსუფევს სპარსთა და ოსმალთა შორის, მინამ შიიტობა და სუნნიტობა არღვევს მაჰმადიანობას, ძნელი საფიქრებელია რაიმე მტკიცე, საიმედო და ხანგრძლივი პოლიტიკური კავშირი დაიდვას ამ ორ სახელმწიფოთა შორის.

ამ ამბავმა მით უფრო ძლიერ იმოქმედა სულთანზედ, რომ თვით სულთანი წინადაც შეერთების მომხრე იყო და ამას გარდა დიდი პატივის მცემელიც არის სპარსებისა. სულთანმა ზედ-მიწევნით იცის თურმე სპარსეთის ლიტერატურა და მწიგნობრობა: მას ოსტატად ჰქონია პატარაობისას გამოჩენილი მწერალი ეხლანდელის სპარსეთისა მირზა-ნაჰაბი. მეტის-მეტად უყვარს თურმე სულთანსა და მოსწონს სხელ-განთქმულნი პოეტები სპარსეთისა ჰაფიზი, საადი და ფერდუსი. ამ სახელოვან მწერალთა მომდევართ დღევანდელს მწერლებსაც სპარსეთისას დიდის პატივითა და თანაგრძნობით შეჰხარის თურმე. გარდა ამისა რომ სულთნის გული თანაგრძნობით მიდრეკილი აქვს სპარსეთისაკენ და სპარსთის სახელოვანთა კაცთა პატივს მცემელია, ყოველ მხრიდამ მოსდის ამბავი, რომ თვითონ სპარსთაც შორის არ არიან შეერთების აზრზედ. ოსმალოს მეცნიერს ტაკიდინ-ფაშას, დღეს ბაღდადის გენერალ-გუბერნატორს, მოუხსენებია სულთანისათვის, რომ ეხლა შიიტთა ულემობა (სამღვდელოება) ისეთის მტრობით აღარ ეკიდება სუნნიტების მოძღვრებას, როგორც უწინ მუნიფ-ფაშამ, ეხლანდელმა სწავლა-განათლების მინისტრმა, მოახსენა სულთანს, რომ ტაკიდინის მოხსენებას ჰმოწმობენ სუნნიტების ულემები, რომელნიც სპარსეთში სცხოვრებენო. თვითონ ხალხშიც განელდა და შესუსტდა მტრობა შიიტთა და სუნნიტთა შორის. შეიჰ-ულ-ისლამმა და სხვათა წარჩინებულთა და ხარისხოვანთ ულემთა დაარწმუნეს სულთანი, რომ შიიტთა ულემნი, მაჰმადის საფლავის სალოცავად სტამბოლზედ მიმავალნი, ჰცდილობენ ჩვენთან დაახლოვებასა და სიხარულით ჰლაპარაკობენ შიიტებისა და სუნიტების შეერთებაზედაო.

ყოველ ამან უფრო წაუხალისა სულთანს სურვილი სუნნიტების და შიიტების შეერთებისა. ეხლა, გაზეთების სიტყვით, სულთანი შესდგომია კიდეც მოიპოვოს ღონე, რომ დარღვეული მაჰმადიანობა ერთს გაერთებულს რჯულს ქვეშ შეაფაროს.

„ამ სამის თვის წინადაო, იწერება ერთის გაზეთის კორრესპონდენტი 30-ს აგვისტოდამ: სტამბოლს მოვიდა სულტანულ-ულემი, ებულ-ჰასან-მირზა, ბიძაშვილი სპარსეთის შაჰისა ნასრედინისა. ამ პრინცმა რჯულთ-მსახურებას შესწირა თავი და ხორასანში უფროსი ულემია. შიიტებ შორის ძალიან სახელ-განთქმულია, როგორც რჯულის მცოდნე კაცი და დიდად პატივცემულია. ებულ-ჰასანი თანა-მოზიარეა სულთანისა. მისმა მაღალმა შთამომავლობამ და მეცნიერობის სახელმა ილდიზის (სულთანის სრა-სასახლეა) კარი გაუღო პრინცსა. სულთანმა ორჯელ-სამჯერ ინახულა ჰასანი და ამ ნახვის შედეგი ის იყო, რომ სულთანმა ებულ-ჰასან-მირზას და ერთს სუნნიტთა მეცნიერს მიანდო შეადგინონ პროექტი სარელიგიო-საპოლიტიკო ხელ-შეკრულობისა, რომელიც უნდა დაიდვას სუნნიტებისა და შიიტების წარჩინებულთა ულემთა შორის და დამტკიცებულ იქმნას ოსმალთა და სპარსთა მთავრობისაგან... რამოდენად გულ-მოდგინედ მოეკიდა სულთანი ამ საქმეს—ეს იქიდამა სჩანს, რომ ამ დროს, როცა ოსმალეთი პოლიტიკურად ასე გაჭირებულია, სულთანმა ამ ხელ-შეკრულობის დამწერ კამისიის წევრად დანიშნა და ამაზედ მოაცდინა იუსტიციის მინისტრი ჯევდეტ-ფაშა, კაცი სხვაფრივად ყველაზედ მეტად ხერხიანი და გამოსადეგი ეხლანდელ სამინისტროსათვის. ჯევდეტ-ფაშა, უწინ ულემად ყოფილი, უცილობლად ყველაზედ მეტი მეცნიერი მაჰმადიანია ეხლანდელ დროში. იგი ისტორიკოსია, ფილოლოღი, რჯულის-მცოდნე და ასტრონომი. თვითეულ ამ მეცნიერებაზედ სამაგალითო თხზულება დაუწერია. ამ კამისიას სამი კრება უკვე ჰქონია სპარსეთის პრინცის სადგომში, რომელიც სულთანს მისთვის დაუთმია თავის სასახლეში. რაზედ დამდგარა ხსენებული კამისია—ჯერ ეს საიდუმლოა.“

აღსრულდება ეს ხელ-ახლად გაღვიძებული აზრი შეერთებისა, თუ არა,—ამას დრო გამოაჩენს. ჩვენ ეხლა მარტო ეს შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს აზრი მართლა დიდი აზრია და იმოდენის შემძლებელი, რომ მაჰმადიანობას ფეხზედ დააყენებს, აბრუსა და სახელს აღუდგენს და დიდ ძალს შესძენს სამერმისოდ, თუ დამწყებთა და მეთაურთა სურვილისამებრ განხორციელდა. ხოლო ძნელ საიმედო კია, რომ იგი განხეთქილება, რომელიც დღეს მაჰმადიანთა შორის ჰსუფევს სუნნიტობისა და შიიტობის გამო მარტო ულემების ხელის მოწერამ შეკრულობაზედ და ოსმალ-სპარსთა მთავრობის დამტკიცებამ გააუქმოს და მოსპოს. საფიქრებელია, რომ თვით ეგ ხელ-შეკრულობა შეიქნეს ახალ განხეთქილების მიზეზად და მაჰმადიანობა გაჰყოს უნიონისტებად და არა-უნიონისტებად. იმისთანა საქმეში, როგორც რელიგიაა, სარწმუნოებაა, რჯულია, რასაკვირველია, ულემობას, სამღვდელოებას, მთავრობას ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ ყველაფერი კი არა. საქმე თვითონ ერია, ნამეტნავად მაჰმადის მადიდებელი ერი, რომელიც ჩვეულია სახელმწიფო წყობილება, პოლიტიკა და ერთობ ყველაფერი ქვეყნიერობაზედ მარტო სარწმუნოებას დაუმორჩილოს, ქვეშ დაუყენოს და ანაცვალოს.

ახალი ამბავი

⁂ 15 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ჩამობრძანდა ტფილისს მთავარ მართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი თავის მეუღლითურთ. მთავარმმართებელი ბრძანდებოდა შავის ზღვისაკენა და ყუბის მაზრაში იქაურობის დასათვალიერებლად.

⁂ ამ ჟამად პურის ფასი თან-დათან მატულობს ჩვენში. ამ გარემოებას იმას აბრალებენ, რომ ზოგიერთს ევროპის სახელმწიფოში და განსაკუთრებით საფრანგეთში ბაჟს არ იღებენ იმ პურზედ, რომელიც მიდის იქ აზიის ზღვის-პირის ნავთ-სადგურებიდამაო. ამის გამო ეხლა იქაური ვაჭრები ამ ჩვენს ქვეყანაში დაიარებიან და პურსა ჰყიდულობენო, რადგანაც აქედამ გატანილი პური უბაჟოდ შეაქვთ თავიანთ ქვეყანაშიო.

⁂ სექტემბრის დამდეგს ყველა ტფილისის საშუალო სასწავლებელი ჰმართავს „აქტს“, რომელზედაც მიწვეულნი არიან ხოლმე საპატიო პირნი ტფილისის საზოგადოებისა სასწავლებლის წლიურის ანგარიშის მოსასმენად. აქტზედ ყველას შეუძლიან დაესწროს, მოისმინოს ანგარიში და შეიტყოს ყოველივე გარემოება სასწავლებლისა: ან რამდენია შეგირდი, ან რამდენია ხარჯი სასწავლებელზედ და მებრევ სხვა ამბავი. წარსულს კვირას ამ გვარი აქტი რეალურ სასწავლებელსა ჰქონდა. დღეს კიდევ წმ. ნინოს სასწავლებელშია დანიშნული წლიური აქტი. ამ აქტზედ დასასწრებლად და ანგარიშის მოსასმენად მიწვეულია სამასი საპატიო კაცი.

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d'amour)

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

ერთს ფებერვლის დილას ალფრედი ფეხით მიდიოდა ორლეანის რკინის გზის სადგურიდამ ელენესა და არმანის ფიქრით შთანთქმული. მშვენიერი დარი იდგა და გაცრიაგებული ცა ამ თბილს ზამთრის დღეში ალერსით დაჰყურებდა დედა-მიწას. ალფრედს უნდოდა პატარა ხანს კიდევ ესეირნა და ამიტომ jardin des Peantes ბაღში შევიდა. როცა შეუხვია ამ ბაღის ერთის დიდის ხეივანისკენ, გულმა უცებ აჩქარებით დაუწყო ცემა: მან დაინახა ქალი და კაცი, რომელნიც ნელ-ნელა დადიოდნენ და მუსაიფობდნენ. ქალი ელენესა ჰგავანდა, კაცი არმანის ტანისა იყო. დიაღ... ისინი იყვნენ. ალფრედმა სიარულზედ იცნო თავისი ცოლი, კაცის ზლაზვნით სიარულმა მოაგონა სეირნობა არმანისა პანსიონის ეზოში. რად მოუკვდა განა გულზე ცეცხლი ალფრედს ამ შეხვედრამ? რა იყო განა საიმისო, რომ ელენე და არმანი ერთად დასეირნობდნენ? განა ვისაც გულში ბოროტი განზრახვა აქვთ რამე, წავლენ საზოგადო ბაღში და ასე დაიწყობენ სეირნობას? მერე ხელი-ხელ გაყრილნიც-კი არ იყვნენ... ეს მართალია, მაგრამ დანაყრების დროს რატომ ელენემ არ უთხრა ალფრედს, რომ დღეს არმანთან ერთად ვაპირებ სეირნობასაო? იქნება ეგონა, რომ მე ამაზედ ვიტყოდი რასმეო. თუ არა და... რად დამიმალა? მივალ ახლო და ვნახავ, შეკრთება თუ არა. მაგრამ არა, ეს იმას ეგვანება, ვითომ მე გუმანი ამიღია და შორი ახლო ავყოლივარ. ვინ იცის, იქნება შემთხვევითაც შეჰხვდნენ ერთმანერთსა? რა იქნება, რომ გავყვე უკან და ვნახო, სად წავლენ?.. მაგრამ ეს ხომ ჯაშუშობა იქნება. ამ ფიქრმა შეაძრწუნა ალფრედის უცოდველი გული. ისინი კვლავ მიდიოდნენ განიერის ხეივანით, რომელიც კარგად გრძელი იყო. უზარ-მაზარ ხეების გატიტვლებული ტოტები გადაჰფარებოდა ხეივანს და შავად გამოიყურებოდა ლაჟვარდოვანს სივრცეში. შაზელმა იგრძნო, რომ მუხლთ-მეკვეთება და ჩამოჯდა ფიცრის გრძელ სკამზედ. ანაო, ეუბნებოდა თავის თავს ალფრედი, ამათ შეხვედრას ისე უნდა შევხედო, როგორც სულ უბრალო საგანს, რომელიც არაფერს არ მოასწავებს, ან არა და... მაგრამ ან რა? აი ამ მეორე ფიქრმა, რომელმაც უცებ გაუელვა, მოშალა ტანში ეს კაცი. „შინ გამოაჩნდება ყველაფერიო“, სთქვა ალფრედმა. რამდენსამე წუთს ასე ტოკავდა და ყოყმანობდა. არმანმა და ელენემ შეუხვიეს პატარა გორასაკენ და მიეფარნენ ალფრედს თვალთაგან. შაზელს ძალიან გაეხარდა, რომ ველარა ჰხედავდა იმ ორს ადამიანს. ამით მიზეზი მიეცა, რომ მაშინვე საქმეს არ შესდგომოდა. გამოვიდა ბაღიდამ მეორეს კარითა და თავისი თავი იმითი გაიმართლა, რომ თუ ეხლავე არა გავაწყე-რა, მაინც ეს მიზეზი კარგი ღონის-ძიებაა შევიტყო, როგორ უნდა მოვიქცე შემდეგშიო. თუ სალამოზედ ელენე ჩამოაგდებს ლაპარაკს ამ სეირნობაზედ, მაშინ ცხადია, რომ იმათ გულში არაფერი ცუდი არა სდებიათ-რაო და მეც, მგონია, რომ სწორედ ასე უნდა იყოსო. ხოლო თუ არა სთქვა-რა... ღმერთო ჩემო, ეს რა აზრები მომდის თავში!—შფოთავდა ალფრედი. გულმა ისე დაუწყო ჩქროლვა, რომ სახლში დაბრუნება აზრად აღარ მოუვიდა და თითქმის მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დადიოდა. ეხლა ისე არა უნდოდა-რა, მაგრამ თან ისე არაფრისაც არ ეშინოდა, როგორც იმ წუთის მოახლოვებისა, როცა თავის ცოლსა ჰნახავდა. ალფრედს უნდოდა კვლავ ბაღში წასულიყო, მაგრამ მეტად გვიან-ღა იყო. იარა პატარა ხანს და ავიდა ერთს დიდს ნავზედ, რომელიც ნავთ-სადგურში იდგა. აქ ჩაერია მოქალაქეთა შორის და უცქეროდა, ტალღები როგორ ეჯახებოდა ხიდის კამარასა, წყლის ნაპირის კედელს, რომლის ნაშენობასაც ათვალიერებდა გონების დაუტანებლად; ახლა კიდე სხვა შენობებსა და სახლებს გადაავლო თვალი. დიდი ნავი ნელ-ნელა მიცურავდა წყალში. ცოტა არ იყოს აცივდა კიდეც. სიცივე მაშინ იგრძნო ალფრედმა, როცა ნავი უკვე „Auteuil“-თან მივიდა. აქ გადმოვიდა ნავიდამ და შენიშნა, რომ ერთი ჟივილ-კივილი იყო ამ ადგილას, საცა ბაზრობაა ხოლმე გამართული და ათასი სხვა-და-სხვა გვარი ხალხი თავ-მოყრილია. ალფრედი ფეხით წავიდა სახლისაკენ ბულვარ-ბულვარ, რომელიც დაუსრულებელი შეიქმნა. ალფრედი სცდილობდა და ვერ მოეგონებინა, თავს-გარდასულია როდისმე თუ არა ის მწვავე სევდა, რომელიც გულ-მუცელსა სწვავდა ეხლა. ჰგრძნობდა, რომ მკერდში, იქ, საცა გულია, ისეთი ტკივილი აუვარდა, რომ სუნთქვა შეუხუთა. ხშირმა ბინდმა დაჰკრა და ზამთრის ბნელმა ღამემ მოიცვა არე-მარე. არ ვარგა ზამთრის ღამე რომ დადგება ხოლმე, კაცს გული ეხურება. ალფრედი გავიდა კიდეც თავიანთ ქუჩაზე, აი მიუახლოვდა თავის ეზოს, თავის სახლის კარებს... მან აღარ იკითხა, მოვიდა თუ არა ელენეო, პირ-და-პირ გასწია იმის ოთახისკენ და კარი დაუკაკუნა. მობრძანდითო, გაისმა ზარივით წმინდა და წკრიალა ხმა ელენესი... ალფრედი შევიდა;

---

*) იხ. „ივერია“ № 196.

⁂ ტფილისის რეალურს სასწავლებლის აქტზედ ბრძანდებოდა საქართველოს ეგზარხოსი პავლე, ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე, მზრუნველი სწავლა-განათლებისა იანოვსკი და სხვანი... აქტზე სასწავლებლის დირექტორს ტიროუტინს წაუკითხავს წლიური ანგარიში. მოგვყავს ზოგიერთი ცნობანი ამ ანგარიშიდამ: სასწავლებელში 7 კლასია და სამი პარალელური განყოფილება. მეოთხე პარალელური განყოფილება პირველის კლასისა წელს დაარსდაო, რადგან მსურველნი სასწავლებელში შემოსვლისა 106 ყმაწვილი იყო და ალაგი-კი 20-სთვის იყო მხოლოდაო. მიღებულ იქმნა წელს სულ 68 შეგირდიო.

რიცხვი შეგირდებისა 1 სექტემბერს 1886 წ. იყო სულ 354. ამათში რუსნი—135, სომეხნი—123, ქართველნი—38, თათარნი—8, ებრაელნი—7 და სხვა-და-სხვა ტომისანი კიდევ—43. სწავლის ფასი არ გამოერთვათ 38 შეგირდს (1,155 მან.), 13 შეგირდს მიეცათ შემწეობა სულ 436 მან. და 37 კაპ.

დაიხარჯა სასწავლებელზე ამ წელს 46,501 მან. და 17 კაპ. სასწავლებელს ფული აკლდება ხოლმეო და ამიტომ განზრახვა აქვს სწავლის ფასს მოუმატოს და 30 მან. მაგიერ, 40 მან. გაჰხადოსო. მაგრამ ამისათვის საჭიროა ნება-რთვა ვითხოვოთ უმაღლესის მთავრობისაგანაო.

წელს სასწავლებელმა მისცა 7-ს სწავლა-გათავებულს შეგირდს 780 მან. უმაღლესს სასწავლებლებში შესასვლელადაო.

სასწავლებელს აქვს საწყობი სასწავლო წიგნებისა, რომელიც ღარიბს შეგირდებს უსასყიდლოდ ეძლევათო. აქვს აგრეთვე ბიბლიოთეკა 7,028 მ. ღირებულიო. ფიზიკური კაბინეთი—7,824 მან. და შეგირდებისთვის ბიბლიოთეკა 2,065 მანათადა. დასასრულ, მასწავლებელს თ. მიქელაძეს წაუკითხავს თავისი რეფერატი ირლანდიის საადგილ მამულო საქმეზე და ინგლისის პოლიტიკაზე.

⁂ სოხუმიდამ გვწერენ, აქეთ წელს გაზაფხული ძლიერ ნოტიო იყოვო, ზაფხული ხმელიო და შემოდგომის დამდეგი ნოტიო არის და დადი სიცივეებიც დაიწყოვო. ამ ჰაერის ცვლილებასა და სხვა-და-სხვაობას საშინელი ციებ ცხელება მოჰყაო. ასე გასინჯეთ, ამბობს კორრესპონდენტი, სოხუმში ისეთი ოჯახი არ არის, სადაც ორი, სამი კაცი ციებ-ცხელებით არ იყოს ავადაო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: „როგორც შევიტყეთ, ობერ-პროკურორი უწმინდაესის სინოდისა აფხაზეთში მყოფობის დროს ახალ ათონის მონასტერში მიბძანებულა სამს სექტემბერსაო. ძლიერ მოსწონებია ბერების მოწყობილება და უბრძანებია ბერებისათვის: „ჩვენს ქვეყანას დიდი იმედი აქვს თქვენი და თქვენც აასრულებთ, ვგონებთ, იმის სურვილსაო, ამ უდაბურს ქვეყანაში შეიტანთ სწავლა-განათლებას და ქრისტიანობასაც გაავრცელებთო.“

⁂ იმერეთიდამ გვატყობინებენ, აქ თურქულია გავრცელებულიო და საქონელი და ხალხი დიდს გაჭირვებაშია ამის გამოვო. არსად არც წამალი და არც ყურის მგდებელი არა სჩანს ჩვენთვისაო. თვითონ კი გლეხები საქონელს ფეხებზე გვიდოს (მცენარეა) ტოტს აბამს, რომელიც ხალხის აზრით, თურქულისაგან დაიფარავს საქონელს. მაგრამ ეს ღონის-ძიება, რასაკვირველია, ტყუილი ღონის-ძიებაა და სენის გავრცელებას ვერ უშლისო.

⁂ ტფილისის საქალაქო გამგეობას გაუთავებია მნაცაკანოვის ხიდის შეკეთება. ძველის ფიცრების მაგიერ ეხლა ახალი ფიცარია ამ ხიდზე დაგებულიო.

⁂ ვინმე სუზანჯიანცი, რომელსაც ერევნის მეიდანზე მაღაზია აქვს და წიგნებითა და ნოტებითა ვაჭრობს, ამას წინად ძაღლმა დაჰკბინა. ექიმებმა სთქვეს, რომ ძაღლი ცოფიანიაო და ამიტომ სუზანჯიანცი ოდესაში წასულა მოსარჩენად ექიმ გამლეისთან, რომელსაც ბაქტეროლოგიური სადგომი აქვს გამართულიო—ამბობს გაზ. „კავკაზი.“

⁂ ამავე გაზეთში ერთი კახელი მემამულე სწერს, რომ აქ აქეთ მემამულეებს სურვილი გენაგერჩაქის თესვისა და მოყვანისაო, რადგან, როგორც მიწა, ისე ჰავა აქაური ძალიან ხელის შემწყობი უნდა იყოს ამ მცენარეს მოსაყვანადაო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე ახალი საქმეა აქაურებისათვის და ამიტომ კარგი იქმნებოდა, რომ მცოდნე კაცს აეხსნა ჩვენთვის, როგორ და რა გვარად უნდა მიგვეყო ხელი ამ საქმისათვისაო.

ამ საგნის განმარტება და ახსნა უტვირთნია ამავე გაზეთის თანამშრომელს ბ-ნს ნ. შ—ს, რომელიც სხვათა-შორის ამბობს, რომ კარგი და შემოსავლიანი საქმე განუზრახავთ კახელ მემამულეთაო. გენაგერჩაქი სამხრეთ-ქვეყნებისკენ ბევრგან მოჰყავთ და ამიერ-კავკასიაშიაც კარგად იხეირებსო. ეხლა ყველაზედ კარგი გენაგერჩაქი იტალიაში მოჰყავთ, და ინდოეთსა და ეგვიპტეშიაც მისდევენ ამ საქმესაო. 1884 წელს ერთს მილლიონზე მეტი ფუთი თესლი მიიღო ქალაქმა მარსელმა ზეთის გამოსახდელადაო. მოვლა გენაგერჩაქს ისეთივე უნდა, როგორც სიმინდსაო, მიწა უფრო თიხა-ნარევი უნდა იყოს და გაზაფხულზე დაითესოსო. როცა შემოვა გენაგერჩაქი, თესლი უნდა გაირჩეს, ძალიან გამთბარ ოთახში იყოს ერთი დღე-და-ღამეო და მერე უნდა დაიჭყლიტოს საქაჯავითაო. ამ გვარად გამოწურული ზეთი დურდოსავით იქნებაო და მერე დასაწმენდავად ეს დურდო უნდა ჩაისხას ქვაბში და წყალთან ერთად დუღილის დროს დაიწმინდებაო. გენაგერჩაქის თესლის შოვნა შეიძლება ტფილისშიო, ერევნის გუბერნიაშიო და „სავა მოროზოვის და კამპ. ქარხანაზე“ მოსკოვშიო.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში, კაკაბეთიდამ მოწერილს ამბავში იყო მოხსენებული, რომ ცოფიანმა მგელმა დაჰგლიჯა რამდენიმე ქიზიყელი გლეხიო. «ნოვ. ობოზ.» ამბობს, რომ პოლიციამ ამ გლეხებს უთხრა მაშინ, ოდესაში წადით მოსარჩენადაო, მაგრამ გლეხებმა უარი სთქვეს და არჩიეს შინაური წამლობაო. ახლა ამ გაზეთს შეუტყვია, რომ ერთი ამ გლეხთაგანი გაცოფიანებულა და საშინელის ტანჯვით მომკვდარა.

⁂ «კავკაზში» გამოცხადებულია, რომ თავს-მჯდომარე მართლ-მადიდებელის ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისა კავკასიაში, პლე მთავარ-ეპისკოპოსი ქართლის და კახეთისა სთხოვს საზოგადოების წევრთ, მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქნება სექტემბრის 21, ნაშუადღევის 1 საათზე, საქართველოს ეგზარხოსის სადგომშიო.

ნაკვესი

ქართველიც ის ყოფილა და ქეიფიც იმას ჰშვენებია, ვისაც ეს წარწერა გამოუთქვამს ერთს ძველს აზარფეშაზე დასაწერად:

> „რას კითხულობ? შენ ეს ღვინო დალიე,
> სხვასაც სწყურის, ნუღარ დაახვალიე“
>
> [illegible]

ქართული თეატრი

გუშინ, 15 სექტემბერს პირველად გაიღო ქართულის თეატრის კარი, რომელიც თითქმის ოთხი თვე იყო დაკეტილი. გუშინ პირველი დღე იყო ჩვენის თეატრის ხელ-ახლად თავის გამოჩენისა და პირველ დღესვე ცოტა ხალხი დაესწრო. რას უნდა მიეწეროს ჩვენის საზოგადოების ასეთი გულ-გრილობა? ნუ თუ ჩვენს ქართულ საზოგადოებას ცნობისმოყვარეობა სრულიად დაეხშო და საჭიროდ არც-კი ჰხედავს პირველ წარმოდგენაზედ მაინც დასწრებასა? შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ პირველი წარმოდგენა ორშაბათს იყო,—მძიმე, მუშაობის დღე, და ამასთან დარიც ვერ უწყობდა ხელს. ღმერთმა ჰქმნას, ასე იყოს: ეს მიზეზი უფრო შესაწყნარებელია და არც გულ-სატკენია. ან იქნება ჩვენ საზოგადოებას, წინანდელ წლების მნახველს, გული აუცრუვდა ქართულ თეატრზე? არც კი ეს არის შეუწყნარებელი საბუთი. ჩვენ გვახსოვს, მაგალითად, შარშანდელი უკანასკნელი დღე, როდესაც ქართული თეატრი თავის სეზონს ათავებდა, ჩვენ გვახსოვს და თვით თეატრის გამტვერიანებული კედლები იყვნენ ამის მოწმად, როდესაც სცენაზედ გამოვიდა ერთი არტისტი და მაღალის, რიხიანის ხმით ქება-დიდებას უძღვნიდა თეატრის მოღვაწეებს: ცარიელი ლოჟები დაცინვით დასცქეროდა ზევიდამ, ობლად დარჩომილი სკამები ჩაფიქრებული უსმენდა და მხოლოდ ათიოდე „კრესლა“ გულ-მოდგინედ უკრავდა ტაშსა არტისტის მჭევრ სიტყვასა...

დღეს, როდესაც ქართულს თეატრს დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ჩაავლო ხელი, იმედი გვაქვს, რომ ყველა ის სამწუხარო მიზეზები, რომელიც ქართველ საზოგადოებას გულს უცრუებდა ქართულ თეატრზე, მოისპობა და თეატრის საქმე რიგიანად წავა. ახალი გამგეობა ეტყობა ჰცდილობს, გულ-მოდგინედ ეკიდება საქმესა და იმედი გვაქვს, რომ საზოგადოებაც თანაგრძნობას აღმოუჩენს, ხელს შეუწყობს და მხარს მისცემს.

ახალ გამგეობის ცდას უქმად არ ჩაუვლია: თეატრს ეხლავე საკმაო ცვლილება დასტყობია და ეს ცვლილება სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოს. შარშან ყველა თეატრში დამსწრეს პირველადვე თვალში ეჩხირებოდა გამტვერიანებული, ჭუჭყიანი, განცხადებებით აჭრელებული ფარდა. დღეს ეს ფარდა გაულაზათიანებიათ და ზედ ახლად დახატული სურათიც უფრო შეჰშვენის თეატრსა, ვიდრე „ზინგერის საკერავი მაშინა“. სცენასაც ლაზათი და ფერი დასტყობია: დაგლეჯილ, დაძველებულ მებელის და მოხართავის მაგიერ, სცენა ახალის, ლაზათიანის მოწყობილობით მოურთავთ. თუმცა სიმდიდრე კი არ ეტ-

უნებლიედ თვალი ელენეს ფეხსაცმელს მოჰკრა. ჯერ ქალს ისევ ის ფეხ საცმელები ეცვა, რომლითაც დასეირნობდა და ამიტომ ცოტა გამტვერიანებული იყო. ღმერთო! რა ნაირ უნდოდა გამოეკითხნა ყველაფერი დაწვრილებით! მაგრამ თან იმასაც ჰგრძნობდა, რითაც უღონოა იჭვიანობა: რა გამოვა განა იმ ადამიანის გამოკითხვისაგან, რომელსაც არ ენდობი, ათასიც რომ ელაპარაკო ამ უნდობლობის შესახებ? ელენე ამ უნდობლობას ვერ მოსპობს, რომ სთქვას „არაო“, იმიტომ რომ არ ენდობიო.

— სად იყავ, რომ ასე გვიან მოხვედი? ჰკითხა ელენემ დამშვიდებით.

არა! თავის დღეში არა ჰქონია ასეთი მოწმენდილი, მოკაშკაშებული თვალები, ასეთი მშვენიერი ღიმილი იმას, ვისაც შეუძლიან იტყუოს და სიცრუე ილაპარაკოს...

— აბა გამოიცანი?—სთქვა ალფრედმა. ალფრედი ელოდა, რომ ქალი მოჰყვებოდა და უამბობდა, სადაც სეირნობდა; მაგრამ, რაკი ცოლი გაუჩუმდა და არას ამბობდა, თითონ უპასუხა: სასტუმროდამ მოვდივარო... იქიდამ ფეხით წამოვედი, რადგანაც ცოტა უქეიფოდ შევიქენიო. შენა? შენ სადღა იყავიო, ჰკითხა მან საშინლად აღელვებულმა.

— საყიდლები მქონდა და იმისთვის ვიყავიო... უპასუხა ქალმა.

ოჰ, რატომ იმდენად გამბედავი არ იყო, რომ ეთქვა, სტყუიო? ალფრედი დაჯდა. ასე ეგონა, რომ ხანჯლები დამიტარეს გულშიო. ქალი აღარას ამბობდა და მოჰყვა წიგნის კითხვას, რომელსაც ის-ის იყო თავი დაანება.

— რა საშინელი რომანი მომცა წასაკითხად ბარონმა დე-კერნმა! თავგარდასავალია ერთის ქალისა აწერილი, რომელიც ჰღალატობს თავის საყვარელს, თუმცა კი უყვარს ის საყვარელი. რას არ მოიგონებენ ეხლანდელი მწერლები. ქალს თვალები უბრწყინავდა, როცა ამას ამბობდა. ისეთის კილოთი სთქვა სიტყვა, საყვარელიო, რომ ალფრედს არ ესიამოვნა. თითქო ამ სიტყვას რაღაც დიდსა და იდუმალს მნიშვნელობას აძლევსო. წვეთობით გასწირავდა ალფრედი თავის სისხლს, ოღონდ-კი ელენეს თავის სეირნობაზედ დაეწყო მაშინ ლაპარაკი. მაგრამ არც სადილზედ, არც შემდეგ კრინტიც არ დაუძრავს ქალს ბაღში სეირნობის გამო. ესე ათი საათი იქმნებოდა, რომ არმანი მოვიდა, ფრაკ-ჩაცმული. სადღაც მიდიოდა წვეულობაზედ, საღამოს გასატარებლად. „როგორა ხართ გუშინდელს აქედ?“ ჰკითხა ელენემ და მიესალმა არმანს.

ოჰ, მატყუარა, მატყუარა! ალფრედმა მოიმიზეზა, რომ ზოგიერთი ქაღალდები მაქვს გადასათვალიერებელიო, და სტოლთან დაჯდა და ხან გამოშვებით შეჰხედავდა ხოლმე ამ ორს ადამიანს, რომელიც ყველაზედ და ყველაფერზედ მომეტებულად უყვარდა. ნუ თუ შესაძლებელიაო, რომ ცოდვილი, საიდუმლო კავშირი იყოს ამათ შუა და მე მღალატობდნენო? მერე ეს არმანი მოღალატე უნდა იყოს, ეს ჩემთან პატარაობიდამვე ერთად შეზრდილი. არმანი რომ ძმაც ყოფილიყო ჩემი,—მაშინაც-კი ამაზედ მეტად აღარ მეყვარებოდა. რა კეთილშობილური სახე აქვს, რა პატიოსანი, უცხო ქცევა და მიხვრა-მოხვრა!.. და მერე შეიძლება, რომ ეს კაცი ყოვლად-საძაგელი იყოს?.. ღალატი ჩემისთანა მეგობრისა ხომ ყოვლად საზიზღარია. ისა, ელენე? შეხედეთ მაინც, რა ლამაზია! რა ამაყი და თავ-მომწონეა... რა მორცხვობითა და კდემით არის მოსილი და თავ-შენახული!.. არა, მე, სწორედ მე, ვიშლები ჰკუიდამ! ბაღში სეირნობა! დიდი ამბავი მომხდარა. განა ამაზედ უბრალო და უცოდველი რამ საქმე შეიძლება კიდევ? იქნება...—ალფრედმა იცოდა, რომ ელენე გულკეთილი იყო, აგრეთვე არმანიცა,—იქნება ორთავენი ღარიბებისა და ღატაკების სანახავად იყვნენ და მოწყალება მიაწოდეს? მაგრამ მაშინ რა საჭიროა ასეთი დუმილი, ხმის ამოუღებლობა? რა საჭირო იყო ტყუილი, რომელიც ამ საათში სთქვეს? ან მე რაღადა ვარ ამაზედ გაჩუმებული და არაფერს არ ვამბობ?

ამავებზე პასუხს ვერა ჰპოულობდა ალფრედი. ეს იცოდა მხოლოდ, რომ ძალა აღარა ჰქონდა ლაპარაკისა ისე, როგორც ამას წინად უღონო იყო, მოექმედნა რამ. არმანი და ელენე-კი ამასობაში ნელის ხმით ლაპარაკობდნენ ერთმანერთში. ალფრედს ესმოდა იმათი ხმა, ესმოდა იმათი სულ უბრალო ჩვეულებრივი ლაპარაკი და ყოველივე მიუნდობლობა, ყოველივე ბუნდოვანი იჭვიანობა, რომელიც უნდა დაეთრგუნა და მოეკლა, კვალად და კვალად მეტის ძლიერებით აბზარობდნენ და გულს უგლეჯდნენ ნაწილ-ნაწილად.

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

ხევსურები

საზოგადო შენიშვნები

(დასასრული*)

თუშებს უფრო ზდილობიანად ეკიდებიან ხევსურები, რადგან იმათაგან სიკეთე მოაგონდებათ: ერთის თთვის წინად, მანამ ხახმატობა მოვა, თავი ხევის ბერი, დასტურებით წაილებს ხახმატის ჯვრის დროშას და მთელს თუშეთს შემოატარებს, ჰკრებს შესაწირავს ფულით, თუ საქონლით.

ფშავში ამის ნებას არავინ აძლევს. ზოგი თავისი ხატი ხევსურს ცარცვის იარაღადაც გაუხდია. სოფ. ბაცალიგოში ძლიერ ხატად ითვლება პირქუში; თუ რომელიმე სოფელმა მოიწადინა ამ ხატის ნიშის შეძენა, ანუ პატარა პირქუშის დასახლება თავის სოფელში, უნდა სოფლისგან იყიდოს ეს ნიში.

ერთი შესანიშნავი მოვლენა კიდევ ხევსურის ცხოვრებაში არის კატაზე ფიცი. კატა უწმინდურ ცხოველად ითვლება. თუ ერთი მეორეს აბრალებს ქურდობას, ან სხვა რამე უნამუსობას და თუ მეორე დამნაშავე არ არის და ვერც მოწმებით დაუმტკიცებია თავისი

---

*) იხ. „ივერია“ № 199.

ყობა სცენასა, მაგრამ სისუფთავე, სიფაქიზეც სასიამოვნო სანახავია თვალისთვის.

ერთის სიტყვით, პირველ ნახვაზედვე კაცს სასიამოვნო შთაბეჭდილება გამოგაქვს თეატრიდამ. ეტყობა, თეატრის ახალი გამგეობა არა ღონეს და ფულს არა ჰზოგავს, რამდენადაც კი, რასაკვირველია, ხელი გაუწვდება, საქმე ისე მოაწყოს, რომ კაცი მართლა სიამოვნებით მიდიოდეს თეატრში. ახალი გამგეობა ისე იქცევა, როგორც ნამდვილი ქართველი სტუმრის-მოყვარე მასპინძელი, რომელიც არაფერს ჰზოგავს, რომ სტუმრებს რიგიანად დაუხვდეს. მხოლოდ ერთში კი ვერ გამოიჩინა ნამდვილი პურადობა და გულადობა ჩვენმა ახალმა გამგეობამ. ნამდვილი პურადი და სტუმრის-მოყვარე მასპინძელი პირველად უთუოდ კარგს ღვინოს მიართმევს თავის სტუმრებსა და ბოლოს, შეიძლება, მოაწყალ-წყალოს კიდეც. ჩვენი ახალი გამგეობა კი პირველადვე წყალ-წყალა ღვინოთი გაუმასპინძლდა თავის სტუმრებსა.

მართლა და სხვა რა სახელი დავარქვათ იმ უფერულ, გაცვეთილ და სიცოცხლე მოკლებულ პიესას, როგორც „ახლანდელი სიყვარულია", თუ არ წყალ-წყალა ღვინო? რა აზრი აქვს ამ პიესას, რას მოასწავებს? რას ეუბნება ეს პიესა ან ჭკუას, ან გრძნობას? ქალის მიერ ძალად შერთვას ბებერის კაცისას?

ეს ისეთი ძველი, აშმორებული და ათას ჯერ დაღეჭილი ამბავია, რომ ამაზედ არა ერთხელ თქმულა და თქმულა უფრო უკეთესად!

თეატრის გამგეობამ ახალი ხილიც მოგვართვა ნობათად, თუმცა ეს ახალი ხილიც მკვახე, უგემო და ცოტა დაჭიანებულიც გამოდგა. ეს გახლდათ დავით სოსლანის სცენა მომრიგებელ მოსამართლესთან, ეს გახლდათ უხილო, უგემოვნო ოხუნჯობა დაბალის ხარისხისა, უმნიშვნელო სიტყვების მიხლა-მოხლა და არა გონების-მახვილობა, რომელიც აზრების ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგობიდამ გამომდინარეობს. მთელი მახვილობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ვიღაც „აბლოკატი" თუთიყუშივით და სხაპასხუპით ისვრის სიტყვებს, ჰროტავს რაღაცა კანონის ქვიშაზედ უმრავლესს მუხლებსა და ერთი ვიღაც „აჯილდა" ათასჯერ იმეორებს, რომ მე „ტიტულიარნი სოვეტნიცა" ვარო. დარწმუნებული ვართ, რომ ვინც ერთხელ ნახა „მომრიგებელი მოსამართლე", მეორედ აღარ მოისურვებს ამის ნახვასა.

არტისტებზე და ამათ თამაშობაზე ბევრს არაფერს ვიტყვით. არტისტები სულ ჩვენი ძველი ნაცნობები იყვნენ და რიგიანად, თანხმადაც თამაშობდნენ. მხოლოდ ერთი ფრიად სასიამოვნო გარემოება კი უნდა მოვიხსენიოთ. დიდად სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ნიჭიერი არტისტი ბ-ნი აბაშიძე უფრო მეტს წარმატებაში შედის. შარშანაც გვინახავს ამავე როლში, რომელსაც გუშინ ჰთამაშობდა, და დიდი განსხვავება შევნიშნეთ: ბ-ნი აბაშიძე უფრო მეტის ხელოვნებით, უფრო მეტის ჭკუით ასრულებდა თავის როლს. კარგი იქნებოდა, რომ ბ-ნი აბაშიძე უფრო კიდევ კარგად დაუფიქრდეს თავის თამაშობას, არ შეაყენოს თავის განვითარება და გასწოროს ზოგიერთი ნაკლულოვანობა, რომელიც დღემდინ კიდევ შერჩენია. მაგალითად, აქამდინ ვერ მოუშლია ის ცუდი ჩვეულობა, რომ ზოგიერთ ადგილას არ გადააჭარბოს, არ გადაამლაშოს ხოლმე. აი თუ გინდა ავიღოთ ის, როდესაც ბ-ნი აბაშიძე მესამე მოქმედებაში უკან-უკან მიდის და ფეხით კარს აღებს. ფეხს ისე იქნევს, რომ სიცილსა და ტაშსაც იწვევს თეატრში, მეტადრე „ზემო სართულში", ჭერთან ახლო რომ არის, ჩვენ კი სწორედ გითხრათ, ცირკის „კლოუნი" მოგვაგონდა. მართალია, ყველა ეს წვრილმანია, მაგრამ კარგმა არტისტმა არც წვრილმანები უნდა დასტოვოს უყურადღებოდ.

ჯამბარაშვილის როლს ბ-ნი მაქსიმიძე თამაშობდა. ამ როლში წინად ჩვენ გვინახავს ბ-ნი მოხევე. ბ-ნ მაქსიმიძეს პირ-და-პირ მოხევე აუღია მაგალითად და იმასა ჰბაძავს. მასწავლებელი რა არის, რომ შეგირდი რა უნდა იყოს.

ჩვენ თეატრს ახალი არტისტი-ქალი შეუძენია, ქ-ბ-ნი ჩერქეზიშვილისა. სამწუხაროდ დღეს ამ არტისტ-ქალზე ვერას ვიტყვით. ისეთი უფერული, უშნო როლი ჰქონდა, რომ ძნელი იყო ან თვითონ მოთამაშეს თავისი ნიჭი გამოეჩინა, ან ჩვენ შეგვენიშნა. მთელი როლი იმაში მდგომარეობს, რომ ქალი დადის სცენაზე და ამთქნარებს. კარგი გამოცდილი, კარგ სკოლაში გამოვლილი არტისტი უნდა იყოს, და ამასთან პირი-სახის მოძრაობა კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი, რომ არტისტმა ცოტად ფერი დასდოს ამისთანა უფერულ როლს. წინასწარ სჯას ისევ მოცდა სჯობია. მაშ მოვიცადოთ, მანამ ეს არტისტი-ქალი რომელსამე თვალ-საჩინო როლში გამოსცდის თავის თავსა და მაშინ დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველებსა.

მაინც-და-მაინც ეს პირველი წარმოდგენა ისე მწყობრად ნათამაშები იყო არტისტებისაგან, ისე ლაზათიანად თვალთათვის მოწყობილი, ისე რიგიანი, წესიერი, რომ სასიამოვნოდ დაგვრჩა თეატრში ყოფნა. წარმოდგენა თავის დროზედ დაიწყო, ანტრაქტებმა დიდხანს არ გვალოდინა და, წარმოიდგინეთ, არტისტებმა თავისი როლებიც კი იცოდნენ! დიდი ხანია ეს სიკეთე ჩვენის არტისტებისაგან არავის გვენახა. ყოველსფერში ეტყობა, რომ ჩვენის თეატრის საქმე მცოდნე კაცის ხელში ჩავარდნილა, ჩვენდა სასიხარულოდ, და არამც თუ მარტო მცოდნე, თეატრის მოყვარე და გულ-მოდგინე გამგებელიც ყოფილა. ყოველივე ეს დიდს იმედს იძლევა, რომ ჩვენი თეატრი ფეხზედ დადგება და ერთ უკეთესს გასართობად შექმნება ჩვენს მოწყენილს საზოგადოებას. ღმერთმა ჰქმნას!.. თუ დასაწყისი თავ-მდებია შემდეგისა, ჩვენ სიხარულით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს პირველი წარმოდგენა ბევრს სასიამოვნო კეთილს გვიქადის სამერმისოდ და თუ ამ პირველის წარმოდგენის გამო ქების ტაში ვისმე სამართლიანად ერგებოდა, ეგ თეატრის ახალს დამწყობთა და გამგებელთა უნდა ერგოს. იმედია, თუ საქმე ასე რიგიანად და წესიერად წავიდა, ჩვენს თეატრს მაყურებელი არ დააკლდება და საზოგადოებაც ყოველთვის სასიამოვნო დროდ ჩასთვლის, ორ-სამს საათს თეატრში გატარებულს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რა დანიშნულება აქვს ჟურნალ-გაზეთობას? რა მიმართულებას უნდა ადგეს, რა აზრს უნდა ატარებდეს, რას უფრო უნდა აქცევდეს ყურადღებას, რა იდეალს უნდა ემსახურებოდეს ჟურნალ-გაზეთობა? ასეთ საყურადღებო საგნებზე ჩამოუგდია დღეს ლაპარაკი გაზეთ „Новости"-ს. აი გაზეთის აზრი ამ საგანზე:

> გაზეთის დანიშნულება ის კი არ არის, რომ საზოგადოება გაართოს, გაამხიარულოს. გაზეთი საქეიფო ადგილი და სამიკიტნო არ არის. ჩვენ საზოგადოებაში ისეც ბლომად მოიპოვება უსაქმო, უგზოუკვლოდ მოსიარულე ხალხი, რომელსაც თავის ცხოვრების საგნად მარტო მხიარულება, დროს გატარება ამოურჩევია, ისეც ბევრი მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელიც სრულიად არ უფიქრდება ცხოვრების მძიმე მოთხოვნილებას. განა ასეთ უსაქმობას, უსაგნო ცხოვრებას, გულაცრუებას კიდევ სჭირია გაძლიერება? განა სასურველია, რომ ჟურნალ-გაზეთობაც და საზოგადოდ ლიტერატურა საზოგადოების ფეხს აჰყვეს და თავის ძალა და ღონე იმას მოანდომოს, რომ უსაქმო ხალხი გაართოს, გაამხიარულოს და ამ სახით ცხოვრებაში უფრო ღრმად ჩანერგოს ის სამწუხარო მიმართულება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას, ზოგიერთ დაბალის ღირსების გაზეთების წყალობითვე, ძვალ-რბილში გასჯდომია.

როგორც რუსეთში, ისე ევროპაში ორ-გვარ მიმართულებას ადგა დღეს ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადოდ ლიტერატურაო, ამბობს შემდეგ გაზეთი. ერთს მიმართულებას გაზეთი წართქმითს უწოდებს, მეორეს—უკუთქმითსა. პირველის უკეთეს წარმომადგენლად გაზეთი ასახელებს ინგლისს და ერთის მხრით ჩრდილოეთ-ამერიკის ჟურნალ-გაზეთობას და ლიტერატურას საზოგადოდ, მეორე მიმართულების უმთავრეს წარმომადგენლად—საფრანგეთის ბეჭდვით სიტყვას.

> საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა ამ ბოლოს დროს სრულიად გამოიცვალა, გადაგვარდაო, ამბობს გაზეთი. საფრანგეთში გაზეთი ქუჩის ბულვარების ფურცლად გადიქცაო. აზრის მაგიერ ფრაზა, დალაგებულის მსჯელობის მაგიერ—უსაგნო ყბედობა, ჭორი, ქუჩის ამბები, ქორწილების, შინაურ წარმოდგენების აღწერა,—აი რით არის გავსებული უმეტესი ნაწილი საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობისაო.

უმეტესი ნაწილი ჩვენის ჟურნალ-გაზეთობისაცაო, — განაგრძობს გაზეთი, სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს, ამ გზას ადგება, საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობასა ჰბაძავს. ჩვენი გაზეთები უფრო უსაგნო ყბედობას და მკითხველ საზოგადოების გართობას რჩეობენ, ვიდრე დალაგებულ მსჯელობას ცხოვრების საყურადღებო საგნებზე, როგორც, მაგალითად, ინგლისის გაზეთები სჩადიანო.

სამწუხაროდ, ჩვენშიაც ცოტ-ცოტად ფეხს იდგამს პირველის მიმართულების გაზეთები, მით უფრო, რომ ჩვენში უფრო ეძნელებათ ჭკუა ამუშავონ და ცხოვრების საგნებს დაუფიქრდნენ.

⁂

გაზეთი „Современныя Извѣстія" ძალიან უწყრება ბოლგარიის მოწინავე, განათლებულს საზოგადოებას და ჟურნალ-გაზეთობასა.

> სულ იმას ჰყვირით და გაიძახით,— ამბობს გაზეთი, რომ ხელ-შეუხებლად უნდა დავიცვათ ჩვენი „დამოუკიდებლობა"-ო. მერე ვისზე ჰლაპარაკობთ, ვის უნდა თქვენ „დამოუკიდებლობის" მოსპობა, გაუქმება? ოსმალეთზე რომ ამბობდეთ, კიდევ გვესმის, თორემ...

ერთი გვიჩვენეთ მაინცა, როდის რა წაგართოთ რუსეთმაო?— კითხულობს გაზეთი...

იქნება ამ სტრიქონებმა ბოლგა-

სიმართლე, ის მიჰმართავს კატას, რომელსაც თოკით ჩამოჰკიდებს ხეზე და დაიწყებს საქვეყნოდ, სასოფლოდ ფიცს: «თუ მე ჩაჩაურის (ანუ სხვა ვინმე იქნება) ცხენ მამეპაროს, ეს კატაიმც იქნების ჩემის მკვდრისადა, ცოცხლისადა, ჯვარისადა, ტაბლაისადა, სანთლისადა, წყლისადა, წისქვილასადა, მთისადა, ბარისადა, თუ არა და, ვინც მე ულბით დამწვადამდაგა, იმასამც მკვდისად იქნების, ცოცხლისად, ჯვარისად, ტაბლაისადა, მთისადა, ბარისადა, ყველაიმც ღრიბლიან (წაბილწული, შებღალული) ექნებისა...

ხევსური მიცვალებულს დიდის ამბით ჰმარხავს. როდესაც სნეული დაუწყებს „სულს ბრძოლას", ესე იგი, სიკვდილისკენ პირ მიიღებს, ხევსური სნეულს გარეთ გამოიტანს, რომ სული გარედ „დალიოს". ამას იმიტომ სჩადის, რომ მომაკვდავის სული მიებაროს წვრა-მწვრელს და სახლში არ დარჩეს. მიცვალებულის დასატირლად კაცები და დედაკაცები მოვლენ. თუ მიცვალებული მამა-კაცია შეკაზმულს ცხენს დაუყენებენ გვერდზე და გულზედ იარაღს დაუწყობენ. დედაკაცები ზარით ტირიან და კაცებიც ბანს აძლევენ. კაცები ცრემლს არა ჰღვრიან, მხოლოდ ქვითინებენ და თვალებზედ ქუდებს იფარებენ. მოზარენი,—დედაკაცები სასყიდელს იღებენ თითო ჯამს (ხის თეფშს) ერბოს. მკვდრის პატრონს, „ჭირის უფალს" ამ გვარად „უწყვენენ ჭირს", ანუ მიუსამძიმრებენ:—„რადარ ჩემ სიკვდილ გაიგონეთ, სანამდის ეგეთას გნახევდით, დიდ ბრალი არავ, დიდ ღმერთის წყენაი, თქვენ თვალ ატირდებოდესა, თქვენ გულ დაწუხდებოდესავ,—ჩემ ფერ კაცნი სიტყვას გეტყოდენა. ხევსურეთს დააკლდებით: ჯარსა, მოჯარესა, ბჭეთა, ხევის-ბერთა,—თქვენ თესლ-ჯილაგი. კაცნი სანეფონი ხართევ, დიაცნი სადედუფლონი".—დიდ ბრალი ასევ, დიდ ღმერთის წყენაი. მიუგებს ჭირის უფალი, თქვენ სიტყვას მეტყოდეთავ; თავის სიკეთით იტყვითავ, ჩვენზე ბეჩავ ქვეოდ ვინ მოკვდებისა? მადლიც ას ჩვენი სიკვდილი: მოვრჩებით ჭირით ყოფნასა, სიტიტვლესა, შიმშილ-წყურვილსა, მიყუდ-მოყუდებასა (კარი-კარ სიარულს სამთხოვარად); მტრისა გამლალენი ვართ, მოკეთის გამჯავრენი, ღმერთმ თქვენ გულ განკურნოს.

ვაჟკაცი, ხევსურის წარმოდგენით, უნდა იყოს გულადი და პურადი, მტერთან მტერი, მოკეთესთან მოკეთე, იარაღის მხმარებელი. ხევსური ცდილობს, რომ ყოველი თავისი მოქმედება მეტის-მეტად შეაქოს, გააზვიადოს, გაადიდოს თქვენს თვალში, ვსთქვათ ჯიხვი მოკლა მონადირემ, მონადირე ნანადირევს პირ-და-პირ სოფელში არ შამოიტანს, სოფლის გარეთ, დანიშნულს ადგილას დასტოვებს. ხალხი მიესალმება მონადირეს:

— ნადირ კლოვ გიზლას, აბიკავ, მაჰკალ კელ მაგიმართას.

— არა სათქმელი,—მიუგებს მონადირე წარბის შეხმუჰვნით და ცდილობს თავის მოწონება არავის შეამჩნევინოს. ხალხი ამ სიტყვით გაიგებს, რომ აბიკა გამარჯვებული დაბრუნებულა „საჯიხვეშიით", წავლენ და ნანადირევს სხვანი მოიტანენ.

ხევსური „გამარჯვების" მაგიერად ხმარობს „ხელ მაგიმართასო", დედაკაცებიც ესე მიესალმებიან ხოლმე კაცებს. ხევსურის დედა-კაცი გარჯით, სიმაგრით, მეოჯახეობით არ ჩამოუვარდება ფშავლის დედა-კაცს. კილო ხევსურულის ლექსებისა, ფშავლისასა ჰგავს. საზოგადოდ ფშავლების პოეზიას გავლენა აქვს როგორც ხევსურების, ისე სხვა მთიელ ქართველების პოეზიაზე. ამის დამტკიცება ძნელი არ არის: ერთი და იგივე ლექსი ფშავში და სხვაგან გაგონილი ბევრით განსხვავდება გარეგნობით, შინაარსით, სიტყვების მიხვრა-მოხვრით; ფშავში ის ლექსი მშვენიერია და სხვაგან-კი გაუგემურებული, მართალს მოკლებული. ხევსურებს საკუთარი ლექსებიცა აქვსთ. ამ ლექსებში ესენი ან თავის საკუთარს, ხალხურს გმირებს ადიდებენ, ან მტერთან ბრძოლას, ომებს მოგვითხრობენ. აი ერთი საკუთრად ხევსურული ლექსი!

არხოტით მზირი წავიდა,
წყრომით გაჰყვება ჯვარიო,
არხოტის შალას გაუდგენ
გაწყვეს თოფის ჯარიო.
წინ უდგა ხოგაის მინდი,
ჩააწვაპინა ნამიო,
სამძლის ღლეს გადგიდენ,
თოფებს უშირეს ტალიო:
ჩავიდეთ ქამალადოსა,
მებეგრენია ჩვენნიო.
არგონით მიზეს ჩაცვივდენ,
შიგა ალაჯას ქალიო...
დანდობით ცისეს შარეგნა,
დღეს ხო ძმანი ხართ ჩემნიო.
აჭყარა იარაღები,
გამაუგდეტა კარიო,
შანაქოს კაცა გაგზავნა,
თქვენაც გვიშვირეთ მხარიო,
მინდი ჩავიგდე კლდეშია,
მგელი მჭამელი თქვენიო.
საგათენებოდ აივსო
მიზეს ქვა-ცისის კარიო.
რა ახჭარებით მოცვივდენ
სუფხან ბათაკა-ძმანიო!
მინდი გვაჩვენეთ თვალითა,
ძველ ბევრ გვიკიდავ ვალიო,
მინდი რა სანახავია,
წელთ აღარ არტყავ კმალიო,
აზვარნ მისცენით მინდისა,
დაასცდეინეთ თავიო.
თუ მარტო ლაშქარს გაგიძღვათ,
შინავ გაუშვით მთელიო.
ბეწინამ ნანაისმა
ჩარდახში ბანდნეს ჯღანნიო,
ციხიდამ გადმოგიფრინდათ
არწივმ გაშალნა მკარნიო.
წადი, წაიღე ამბავი,
მინდის რა ადგა ძალიო,
თორმეტი მოკლა მინდიმა...
დადგა, ჩააგო კმალიო.

ვაჟა-ფშაველა

რებამდინ მიახწიოსო, განაგრძობს გაზეთი.

თუ ეს ჩვენი წადილი ახდა, დეე კარგად დაუფიქრდნენ ბოლგარები ამ სტრიქონებს და მაშინ მიჰხვდებიან, საიდამ მოელის ნამდვილი განსაცდელი ბოლგარიასაო.

გაზეთს სახეში ინგლისი ჰყავს, იქიდამ უქადის ბოლგარიას საშიშარ განსაცდელსა.

უცხოეთი

ბოლგარია. სოფიიდამ იწერებიან დეპეშით, რომ აქ დიდის მოუთმენლობით მოელიან რუსეთის დიპლომატიურის აგენტის ბარონ კაულბარსის მოსვლასაო.

— შიშიანობის წესნი ჯერ კიდევ მოქმედებენ. მთავრობამ განსაკუთრებულს სამხედრო სასამართლოს მიანდო გამოძიება 9 აგვისტოს არეულობის გამო. სარეგენტო მთავრობის წევრნი ამბობენ, რომ სამხედრო სასამართლო მკაცრად არ მოეპყრობა დამნაშავეთაო. სასამართლო საქმეს არ შეუდგება გენერალ კაულბარსის მოსვლამდის. გენერალს კაულბარს მომავალს კვირას მოელიან სოფიაშიო.

— სოფიიდამ დეპეშით ატყობინებენ „Politische Korrespondenz“-ს: ყველა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სოფიაში მიიღეს ქაღალდი. ამ ქაღალდში ნაბძანებია: ყოველიგე საშუალება იხმარეთ და ეცადენით, რომ ბოლგარიასა და აღმოსავლეთ რუმელიაში მშვიდობიანობა არ დაირღვესო. განსაკუთრებით ამასა ჰცდილობენ რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენელნი. ამას წინად აქ ყველა დასების მეთაურთ კრება ჰქონდათ და ამ კრებაზედ გარდასწყვიტეს: ვეცადოთ, რაც კი შეგვიძლიან, რომ სხვა სახელმწიფოები არ ჩაერიონ ჩვენს საქმეში და ამას გარდა უნდა დავიცვათ მშვიდობიანობა და წესიერება, როგორც ბოლგარიასა, აგრეთვე რუმელიაშიო.

— ჰავასიის სააგენტოს სწერენ სოფიიდამ: ბოლგარიის მთავრობამ პირველად შედგენილი ნოტა ცოტათი შესცვალა და რუსეთის ელჩს გარდასცაო. ამ ნოტის შინაარსი: „ბოლგარიის მთავრობა ვალად რაცხს აცნობოს რუსეთის მთავრობას, რომ ის ამბავი, ვითომ ბოლგარიის მთავრობა ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა გაასამართლოს 9 აგვისტოს მეამბოხენი, სიცრუეა და განგებ გავრცელებული ხმა. მეამბოხეთა განსამართლება ეგრე ჩქარა არ მოხდება, რადგან გამოძიება დაიწყო თუ არა, ბევრნი გაიფანტ-გამოიფანტნენ სხვა ქვეყნებისაკენ და ამიტომ გამოძიება დიდხანს გაგრძელდება. ამ ჟამად გამოძიება შეჩერებულია და თვით მთავრობამაც არ იცის, როდის დაიწყობაო.“

— გაზ. „Нов. Вр.“-ს სწერენ სოფიიდამ: რუსეთის წარმომადგენელმა ნეკლიუდოვმა დღეს წააკითხა უცხო საქმეთა მინისტრს ნაჩევიჩს რუსეთიდგან მიღებული ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ «ბოლგარიის სარეგენტო მთავრობამ უეჭველად უნდა თავი დაანებოს მეამბოხეთა დასჯას, რადგან ჯერ მაგის დრო არ არისო.

რადგან სარეგენტო მთავრობა რუსეთისაგან დამტკიცებული არ არის და არც სხვა სახელმწიფოთა აქვსთ კანონიერად აღიარებული, ამიტომ ნება არა გაქვსთ თქვენვე დასაჯოთ თქვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეობიო. მაგ გვარად მოწინააღმდეგეთა დასჯას შეუძლიან უთანხმოება და ურთიერთ-შორისი ომი გამოიწვიოს და ამიტომ უეჭველად საჭიროა ჩვენი ჩარევა მაგ საქმეშიო.»

ჩაბარება თუ არა ნოტა ნაჩევიჩს, რუსეთის წარმომადგენელმა გამოუცხადა, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობის პასუხი დღესვე მომიმზადეთ და გამომიგზავნეთო. რუსეთის სიტყვებს გერმანიის წარმომადგენელიც კვერსა სცემდაო. ამბობენ, ვითომ, რომ ავსტრიის ელჩმაც ამ საქმეში მხარი რუსეთისაკენ დაიჭირაო.

— გაზ. «Kölnische Zeitung»-ის კორრესპონდენტი ამბობს, რომ სამთა დიდთა სახელმწიფოთა შორის ხელთ-შეკრულობა ბოლგარიის საქმეების გამო ისე კარგად არის შედგენილი, რომ არ შეიძლება რაიმე უთანხმოება მოხდესო. უპირველესს ყოვლისა სახელმწიფოთაგან აღიარებულია, რომ ვინც უნდა დაინიშნოს ბოლგარიის მთავრად, ის უეჭველად აღმოსავლეთ რუმელიის გენერალ-გუბერნატორიც უნდა იყოსო. მთავრის კანონიერ მოადგილეთ ჯერ-ჯერობით სარეგენტო მთავრობა ითვლება. რუსეთი პირობასა სდებს, ყოველი საშუალება იხმაროს, რომ ამ სარეგენტო მთავრობას წინააღმდეგობა არ გაუწიონ. რუსეთს არც ბოლგარიის დაჭერა უძევს გულში და არც სურს იმ სახელმწიფოთ გამოსცალოს ხელიდამ, რომელთა მეპატრონეობის ქვეშ აქამდე ბოლგარია იყო, ამიტომაც ბოლგარიაში არ გზავნის თავის კამისარსაო. ამის სამაგიეროდ ავსტრიამ და გერმანიამ აღუთქვეს, რომ რუსეთს უფრო დიდი უფლება აქვს, ვიდრე სხვა დიდთ სახელმწიფოთ ბოლგარიაზე და ამიტომ ეცდებიან მომავალ კრებაზედ, რომ რუსეთის კანდიდატს უფრო უპირატესობა მიეცეს. თუ საერო კრება მთავრად ალექსანდრეს ამოირჩევს, პორტა არ დასთანხმდება. რუსეთს ნება ეძლევა კრება დაითანხმოს და თავისი კანდიდატი ამოარჩევინოს მთავრად და ამ საქმეს, უეჭველია, კაულბარსს მიანდობენ. კაულბარსი რუსეთის დიპლომატიურს საქმეების გამგეობას იკისრებს ბოლგარიაში და ამას არც ერთი დიდი სახელმწიფო არ აღუდგება წინ. მიიღებენ, თუ არა აღმოსავლეთ-რუმელიის მცხოვრებელნი მთავრის ამორჩევაში მონაწილეობას, ჯერ არავინ იცისო.

დეპეშა

13 სექტემბერს.

სპალა. (მოწერილი ამბავი «Правит. Вѣстникъ»-ისა) გუშინ დილით მოვიდნენ აქ 250 მოწაფე გლეხთა ქალი და ვაჟი ვარშავის გუბერნიის სკერნევიცისა, ლოვიჩისა და ბლონის მაზრის საერო სკოლებიდამ თავიანთ მასწავლებელ ქალებითა და კაცებითა და სხვა უფროსთა და „გმინის ვოიტებითურთ“. ყმაწვილები, გალობაში და სიმღერაში გაწურთვნილნი საერო სკოლების მასწავლებელთაგან, შეადგინდნენ ერთს დიდს ხოროს და თავიანთ საგვარეო, საერო ტანისამოსით იყვნენ ჩაცმულნი. ყმაწვილები სანადირო სახლთან მივიდნენ; აქ ჩაი დაალევინეს და ხილი და სხვა-და-სხვა ტკბილეული აჭამეს. შუადღისას ყმაწვილების ხორო გაიმართა სანადირო სახლის უმთავრესის კარების წინ. ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდნი მთავარნი, პრინცი საქსენ-ალტენბურგისა ამალითურთ გამობრძანდნენ ყმაწვილების სანახავად, რომელთაც ნიშნად მისალმებისა იმღერეს საერო საგალობელი; ამ დროს ხელმწიფე იმპერატრიცას მოართვეს თაიგული, ხოლო მათ უდიდებულესობას პურ-მარილი და დაბეჭდილი პროგრამა გალობისა. შემდეგ ყმაწვილების ხორომ იმღერა: «Слався, Слався», ერთი ხმა „როგნედიდამ“ და სთქვა 15 რუსული საერო სიმღერა. მათ უდიდებულესობათ ინებეს და მოიწონეს გალობა და სიმღერა და ყოვლად მოწყალედ გამოჰკითხეს თავიანთი ამბავი, როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა. ყმაწვილები თავისუფლად უპასუხებდნენ რუსულად; ხელმწიფე ყოვლად-მოწყალედ ელაპარაკა აგრეთვე ყირარდოვის ქარხნის მუშა მემუსიკეთა ლოტბარს, რომელიც შეგირდებთან ერთად მოსული იყო მუსიკის დასაკვრელად. სიმღერა დასრულდა საერო საგალობლის თქმით. ყმაწვილებმა და ხალხმა დიდხანს არ შესწყვიტა „ურას“ ყვირილი. შემდეგ გალობის მოყვარულთა ხორომ ტომაშოვიდამ სთქვა ცხრა ხმა ნემეცურად და ერთი სახელდობრ «Коль славенъ» რუსულადა. როცა გალობა და სიმღერა გათავდა, მათ უდიდებულესობათა მადლობა გადაუხადეს მომღერალთა და ყოვლად-მოწყალე ლაპარაკის ღირსნი გაჰხადეს. ამის შემდეგ ყირარდის ქარხნის მუშა მემუსიკეთა ოხკესტრამ დაუკრა სათამაშო და გლეხთა შვილთ იცეკვეს თავიანთებურად. ნაშუადღევის 3 საათზედ მათი უდიდებულესობანი მოწყალედ გამოეთხოვნენ ყმაწვილებს და წაბრძანდნენ სანადირო სახლში. ხალხი მღეროდა საერო საგალობლისა და „ურასა“ ჰყვიროდა.

სოფია. გუშინ გენერალს კაულბარს მიეგება ოფიციალურად მხოლოდ პრეფექტი და მისი სეკრეტარი. გენერალმა კაულბარსმა უთხრა იმათ, ვინც მიეგებნენ, რომ რუსეთსა სურს, რათა დასნი თანხმობით მოქმედობდნენ და ერთმა მეორე არ დაჩაგროსო.

სტამბულოვს მოლაპარაკება აქვს ცანკოვის დასთან და სთხოვს თანხმობით ვიმოქმედოთო. სტამბულოვს განზრახვა აქვს, დეპუტაცია გაუგზავნოს კაულბარსს ყველა დასთაგან და შეუთვალოს, რომ ბოლგარიასა სურს დაიცვას დამოუკიდებლობა და ისეთი გამგეობა ჰქონდეს, როგორსაც მისი კანონები მოითხოვსო, იმ დრომდე, ვიდრე ახალი მთავარი იქმნება ამორჩეულიო.

ვენა. უკანასკნელ დღეს და ღამის განმავლობაში ფიუმესა და რაბეში მხოლოდ თითო კაცი გახდა ავად ხოლერით, ხოლო სიკვდილით იქ აღარავინ არ მომკვდარაო. პეშტში ხოლერა ისევეა, როგორც ამას წინად იყოო.

ოდესა. გენერალ-გუბერნატორმა შესაძლებელად სცნო, რომ მეტად შემაწუხებელის კარანტინების მაგიერ დააწესოს სანიტარული თვალ-ყურის ჭერა იმ ადგილებისა, საიდამაც უცხოეთის ხალხი და საქონელი მოდის რუსეთშიო. ამ გვარად თვალ-ყურის ჭერისათვის 11 ალაგას გაგზავნილ იქმნენ ექიმი-ბაქტერიოლოგები, რომელნიც მომზადებულნი არიან პროფესორის მეჩნიკოვის ასტრელ სადგომშიო.

სოფია. სააგენტო მთავრობის მომხრე დასმა დაბეჭდა პროკლამაცია და სთხოვს ამომრჩეველთ, მხარი მიეცით დღევანდელ მთავრობას, როცა დაიწყება დეპუტატების არჩევანიო.

სამხედრო დასის ქცევა ისეთია, რომ შეიძლება ან კერძოდ ან საზოგადო არეულობა მოხდესო.

ხალხი ეწინააღმდეგება ხარჯისა და გადასახადის მოკრეფასაო. მთავრობას უნდა ისესხოს 15 მილიონი ბელგიაში და გირავნად აძლევს ცარიბროდ-ვაკარელის რკინის გზასაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7394.

ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

სექტემბერი 30 დღით არის

17 დღე ოთხშაბათი. ქალწ. მოწ. სოფიოისი და მის სამთა ასულთა: პისტისა, ელპიდის, აღაპისა. კათოლ. წმ. ფრანცისკესი. სომეხ. მარხვა. სახელ-წოდება. უმ. დიმიტრი კონსტანტინეს ძისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50—18. ტფილისში მზე ამოდის 5—54, ჩადის 5—46; მთვარე ამოდის 7—39, ჩადის 6—46.

18 დღე ხუთშაბათი. ღირს. ევგენი და სხ. წმ. ბიძინა და თავადთა ელიზბარ და შალვა ქსანის ერისთავთა, წამებულნი შირაზში, 1664 წ. კათოლ. წმ. იოსებ კუპერტინელისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49—58 ტფილისში მზე ამოდის 5—55, ჩადის 5—44; მთვარე ამოდის 8—50. ჩადის 7—26.

19 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ტროფიმესი. კათოლ. წმ. ეპისკ. იანუარია და მოწ. ამხანაგთა. სომეხ. მარხვა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49—39. ტფილისში მზე ამოდის 5—56, ჩადის 5—42; მთვარე ამოდის 9—55, ჩადის 8—4.

20 დღე შაბათი. წმ. მოწ. ევსტათესი. კათოლ. წმ. ევსტათესი და მის ამხანაგთა. გაიმართა ტფილისში რუსული თეატრი, 1846 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49—20. ტფილისში მზე ამოდის 5—57, ჩადის 5—40; მთვარე ამოდის 10—59, ჩადის 8—49.

21 დღე კვირა. წმ. მოც. კონდრატესი დაბადება მ. უმ. პავლე ალექსანდრეს ძისა; სახელ-წოდება მ. უმ. დიმიტრი კონსტანტინეს-ძისა. კათოლ. წმ. მოციქ. მათესი სახარების დამწერისა. სომეხ. ჯვრის დღე ვარაგ-ხაჩისა, ანუ წმ. გიორგის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა დღე 11—49—2. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 5—39; მთვარე ამოდის 11—58, ჩადის 9—36.

22 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ფოკასი. წინ.-მეტყ. იონასი. კათოლ. წმ. თომა ვილლანოველისა ეპისკ. და აღმსარ. სომეხ. წმ. მამანტ. და სხვ. ჭეშმარიტი შუა დღე 11—48—43. ტფილისში მზე ამოდის 5—59 ჩადის 5—37; მთვარე ამოდის 12—51, ჩადის 10—26.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
» » 2 »	2 »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ »
» » 2—	3 »
» » 3 »	2½ »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . .	3½ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
« » 2	6 »
სუკი	13 »
ცხვრის ხორცი . . .	6 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. სადამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზიამ

ახალად მიიღო: ინგლისური კრავატები, კრავატები და აკვნები ყმაწვილებისათვის, ზღვის ბალახი, შოკოლადი, კაკაო, ჩაი, უნაგირები ქალებისა, კაცების და ყმაწვილებისათვის და სხვა მრავალი საქონელი. (10—6)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და სათავად-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—15)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მეხუთე გამოცემა, შეცვლილი და შევსებული, დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემელის გრიქუროვის მაღაზიაში. ამ ახალის გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დედანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი სავარჯიშოებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, და გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე—სამღვთო ნაწილი იპყრობს პირველის წლის კურსსა ორივე აღთქმის მოთხრობისას, სურათებით. საღმრთო მოთხრობები თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზედ ერთი თაბახით, ანუ 32 გვერდით, დიდია; მაგრამ ფასი კი შეუცვლელად არის დარჩენილი. გამამცემლის გრიქუროვის მაღაზია იმყოფება კუკიის ხიდის ყურთან, ბაღის პირ-და-პირ. (5—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ 16 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე